

ოლიგოპოლიის რეგულირება, არსებული გამოწვევები და  
პასუხისმგებლობის ფორმები (საქართველოს, ევროკავშირისა და აშშ-ს  
კანონმდებლობების მიხედვით)

გვანცა ჩოგოვაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამართლის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

კურსის ხელმძღვანელი: დავით მაისურაძე, სამართლის დოქტორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

## განაცხადი

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

გვანცა ჩოგოვაძე (15/06/2022)

## აბსტრაქტი

ეკონომიკა ნებისმიერი სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. მუდმივ ეკონომიკურ განვითარებასა და სახელმწიფოს კეთილდღეობაზე კი მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. მათ შორის ჯანსაღი კონკურენციის არსებობა ერთ-ერთია უპირატესტა შორის. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი ქვეყნის კონკურენციის მარეგულირებელი პოლიტიკა ფეხს უწყობდეს 21-ე საუკუნის გამოწვევებს. ამ პროცესში ყოველი ახალი კვლევა, ხედვა და შემოთავაზებული გამოსავლის გზა დადებით გავლენას ახდენს მსოფლიო ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის პრინციპების დაცვაზე.

ეკონომიკური პოლიტიკის სრულყოფა დიდი გამოწვევაა საქართველოს კანონმდებლობისთვისაც. მნიშვნელოვანია ქვეყანამ გამოიყენოს საერთაშორისო გამოცდილება და მოარგოს იგი ადგილობრივ თავისებურებებს.

მოცემული ნაშრომი არის უკვე არსებული კვლევების გაგარძელება, იგი წინამორბედი კვლევებისგან განსხვავებით გვთავაზობს არა მხოლოდ არსებული პრობლემების ზოგად აღწერას, არამედ სახავს შესაძლო გამოსავლის გეგმას, რომლის პრაქტიკაში იმპლემენტაციაც საქართველოს ახალ შესაძლებლობებს წარმოაჩენს. კვლევა ეფუძნება საერთაშორისო კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის ანალიზს. ასევე, მოიცავს იმ თანამედროვე გამოწვევებს, რომელთა წინაშეც დგას საქართველოსა, აშშ-სა და ევროკავშირის კონკურენციის პოლიტიკა.

კვლევის მეშვეობით პასუხი გაეცემა ისეთ კითხვებს, როგორებიცაა : განვითარების რა გზა განვლო ანტიოლიგოპოლიურმა მიდგომებმა; რა ისტორიული გამოწვევების წინაშე იდგა მოცემული ქვეყნების კონკურენციის პოლიტიკა და როგორ გაუმკლავდნენ მათ; რას გულისხმობს კარტელები, როგორია მათთან ბრძოლის საერთაშორისო პრაქტიკა და რა ნაბიჯები უნდა გადადგას საქართველომ გამოწვევებთან გამკლავებისთვის.

**საკვანძო სიტყვები : ოლიგოპოლია, კარტელი, ეკონომიკური აგენტი, კონკურენცია, ინტერვენცია.**

## Abstract

The economy is one of the main factors in the viability of all states. Sustainable economic development and the well-being of the state are influenced by many factors. Healthy competition is one of the most important ones. That's why it's important that the country's competition policy could handle all the challenges that occur in the 21st century. During this process, every new study, vision, and the offered solutions can have a positive influence on creating healthy competition in the world market.

Completing economic policy is a major challenge for Georgian legislation as well. It is important for our country to use an international experience and adapt it to its specifics. The presented paper is a continuation of an already existing analysis. The research is based on an analysis of international law and case law. It also covers the current challenges that competition policies of the US and the EU are facing.

The paper will answer the questions such as: what developmental path has anti-oligopolistic approaches taken; What historical challenges the competition policies faced and how they were dealt with; What do the cartels mean and what is the international practice of fighting them, and what steps should Georgia take to deal with the challenges.

**Key Words:** oligopoly, cartel, economic agent, competition, intervention.